№ 177. 26 აგვისტო, ოთხშაბათი. 1866—1881 26 აგვისტო, ოთხშაბათი. № 177

რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ. იგ. მუხრანსკის სახლებ-
ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თვილისში „დროებისა“ „ივერიის“ რედაქცია-
ში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-
თან ხიდზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ,
въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
| --- | --- | --- | --- |
| დროება და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
[illegible]

თუ ხაჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

სავაჭრო სახლი

„ძმათა კ. და ს. პაპოვებისა“

მოსკოვში

კანტორა იმყოფება კუზნეცის ხიდზედ, კ. ს. პაპოვის სახლებში.

პატივი გვაქვს ვაცნობოთ საზოგადოებას, რომ ჩვენი ფირმის ჩაის სავაჭროთ, გავმართეთ საკუთარი მაღაზიები ქვემო-მოყვანილ ქალაქებში:

ხარკოვში—პენგროვის ქუჩაზე, საკუთარს სახლში.
თბილისში—გოლოვინის პროსპექტზე, მირიმანოვის სახლებში.
სებასტოპოლში—ბოლშაია მარსკაიას ქუჩაზე, ვაჭრის კოგენის სახლში.

როგორც ამ მაღაზიებში, აგრეთვე პეტერბურღში, ვარშავაში და კიევში ჩვენ მაღაზიებში, ჩაი აწონილია გირვანქებათ, ნახევარ და მეოთხედ გირვანქებათ და გაიგზავნება ყოველგან უმთავრესი მაღაზიიდამ, რომელიც იმყოფება მოსკოვში კრასნოსელსკის ქუჩაზე, საკუთარს სახლებში. (30—11)

ქალაქს თბილისში გაიმართა პანსიონი და სავარჯიშო კლასები სამოქალაქო და სამხედრო გიმნაზიების და რეალურ სასწავლებლის შაგირდებისათვის და სკოლა ემაწვილების მოსამზადებლათ ყველა საშუალ სასწავლებლებისათვის. ასწავლიან ფრანცუზულ და ნემეცურ ენებს და მუზიკას.

მიღება ყმაწვილებისა შეიძლება მუდამ დღე 8—2 საათამდე მიხაილოვის ხიდზე, ნიკოლაევის ქუჩის გვერდით, კნეინა გრუზინსკის სახლებში, № 21.

ი. ოოსელიანი.
რ. რეტოლდი.
(3—1)

## ტელეგრამმები

(„საქართველოს ტელეგრაფის სააგენტოსი“)

**პეტერბურღი**, 22 აგვისტოს. გაზეთს „ნოვოე ვრემიაში“ იწერებიან, რომ ოდესსისა და ფინლანდიის სამხედრო ოლქები გაუქმდება და კავკასიის სამხედრო ოკრუგის შტატიც შემცირდებაო. 22 აგვისტოს დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე უფროსი გაბრძანდა პეტერბურღიდამ მოსკოვის, კიევის, ოდესის და ელისავეტგრადის ჯარების დასათვალიერებლად.

ამავე დღეს კრონშტატში გარდაიხადეს დიდი მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის-ძის იუბილეი.

**უაშინგტონი**, 24 აგვისტოს. ამოეში, შანხაეში და ბანგკოკში ხოლერა გაჩნდა.

**ლონდონი**. 24 აგვისტოს. კვეტიდამ დეპეშა მოვიდა რომ ეიუბ-ხანმა ხელი აიღო აბდურ-ახმანთან ბრძოლაზე და გამოაცხადაო, რომ ყველანი ინგლისს უნდა ვებრძოლოთო.

**პარიჟი**, 24 აგვისტოს. ხელ-მეორედ კენჭის-ყრის შედეგი: 56 რესპუბლიკელი, 3 მონარხიელი და 5 ბონაპარტისტი. მომავალს ნაციონალურ კრებაში პარტიები ასეა განაწილებული: 459 რესპუბლიკელი, 47 ბონაპარტიელი და 41 მონარხიელი.

**იალტა**, 22 აგვისტ. დღეს დიდძალი დეპუტაცია მოგროვდა აქ რუსეთის ფლოტის და სხვა უწყებების დიდის მთავრის კონსტანტინე ნიკოლოზის-ძის იუბილეის მოსალოცავად.

## ახალი ამბები.

გუშინ, დილის მეხუთე საათზე „ევროპის“ სასტუმროში უბედურება მოხდა:

როტმისტრის კრივოშეის ცოლმა რევოლვერი ესროლა თავის ქმარსა და მერე თვითონაც ირტყა.

ცოლ-ქმარს შუა რაღაც უკმაყოფილება მომხდარიყო, ქმარი მოშორებოდა და ბალკონზე დაწოლილიყო; როცა იმას დასძინებოდა, ცოლს აელო რევოლვერი, გაეღო ფანჯარა და აქედამ პირ-და-პირ ყურში ესროლა ქმრისათვის; შემდეგ თვითონაც მარცხენა ძუძუში ეკრა და იქვე დაცემულიყო.

ხმაურობაზე მოცვივდნენ სასტუმროს მოსამსახურეები, მოიყვანეს ექიმი, პოლიცია და რაც შეიძლებოდა, შემწეობა არ მოაკლეს. ქმარს ამბობენ, არა უშავს-რაო, რადგან ტყვია ნიკაპისკენ ჩამოსულა და ტვინში არ შესულა; ამბობენ შეიძლება ცოლიც მორჩესო, თუმცა ის უფრო მძიმედ არის დაჭრილიო.

ამ საქმის თაობაზე გამოძიებაა დანიშნული.

* *
*

ჩვენ გვაცნობებენ, რომ იმისთანა ყალბი ბილეთები (თუმნიანი), როგორიც გამოჩნდა ჩვენს ქალაქში, სამეგრელოშიაც გამოჩენილა.

* *
*

თუმცა შემოდგომა დგება. მაგრამ ახლა სწორეთ შუა ზაფხულის სიცხეები დადგა ჩვენს ქალაქში; მხოლოთ ღამ-ღამობით ცოტა უფრო გრილა.

## „დროების“ კორრესპონდენციები

**ქართლი**, 22 აგვისტო. საშინელი და გულის შემზარავი უბედურება მოხდა, ცოდვის ლული დატრიალდა ამ დღეებში სოფ. ზღუდერში. ერთი ახალგაზდა მედუქნე, გვარათ ბველესიანი, რომელიც ვაჭრობს ამ სოფელში სასმელების დუქანში,—შუადღის ხანს მიეჭრა ოჯახში ამ სოფლის აზნაურს მიქაძეს და ხანჯლით დაჩეხა ცოლ-ქმარი და ცოლ-შვილიანი ვაჟკაცი, შვილი მიქაძისა. მიზეზი ამ ბარბაროსული მოქმედებისა არის უბრალო გარემოება.

როგორც საზოგადოთ სოფლების მცხოვრებთ, მიქაძის ოჯახს ვაჭრობა ჰქონდა ამ მედუქნესთან ნისიათ. მედუქნეს მოუთხოვნია ნისიის განაღდება და როცა არ დაუკმაყოფილე-

«დროების» ფელეტონი, 26 აგვისტ.

## ზედ-სიძე.

მოთხრობა რაფფისა

(სომხურიდამ ნათარგმნი)

(გაგრძელება.*)

VII

გავიდა სრული ერთი კვირა, რაც ჯუმშუტ-ბეგმა თავის მამის სიკვდილის ამბავი გამოაცხადა.

ერთ ღამეს შუშანას დის, სოფიოს სახლი არა ჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა: ოთახები ბლომა სანთლებით იყო გაკაშკაშებული, გაბრწყინვალებული; ბლომად შეყრილიყო ხალხი სხვა-და-სხვა ფერ ტანისამოსში მორთული; ყველას მხიარულება ეტყობოდა; მოისმოდა ხმა სიმღერისა, ზურნისა და დოლისა.

ნატოს ქორწილი იყო. ამ ლხინს აქ იხდიდნენ შუშანას სახლის ვიწროობის გამო. აქა-იქ კუთხეებში შეკრებილ სტუმრებ-შორის იყო მხიარული ბაასი და ხუმრობა; ერთ ალაგს რამდენიმე ხელოსნები გარს შემოხვეოდნენ ტერტერას, რომელიც მათ აკვირვებდა თავის ღრმა მეცნიერებითი ლაპარაკით წმინდანებზედ და სასწაულმოქმედებაზედ; მეორე ალაგას დედაკაცებს გაეხსნათ თავიანთებური ძრახვის და ჭორების ბაზარი; მესამე ოთახში ახალ-გაზდა ქალები შეკრებილიყვნენ ნატოს გვერდით და ხან დაირას უკრავდნენ და თამაშობდნენ, ხან მღეროდნენ. მხოლოთ შუშანა ფეხზედ ტრიალებდა, ფაცი-ფუცობდა, სხვა-და-სხვა განკარგულებას აძლევდა და თავის სტუმრებს ტკბილის ლაპარაკით აქცევდა.

— საბედ! ეუბნებოდა ოთუხაანთ ნატალია თავის გვერდით მჯდომარე დედა-კაცს ყურში: ჰხედავ შუშანას, როგორ უქრთამოთ და უმზითვოთ თავისთვის ზედ-სიძე იშოვნა!

— ეგეც ღვთის მოწყალებაა, ნატალიაჯან, უპასუხა ჭონ ოჰანეზას ცოლმა საბედამ.

— ჰალბათ! ღვთის უნებულად ხიდგანაც ფოთოლი არ ჩამოვარდება; მაგრამ ადამიანს იღბალიც უნდა ჰქონდეს.

— არა! ეს ღარიბები ფულს ძალიან არ უყურებენ, შიგ გაერია კალატოზ სიმონას ცოლი მაშო, ისინი ქალს უყურებენ, ოღონდ ქალი კი კარგი იყოს და იმათთვის მეტი საჭირო არა არის-რა.

— მაგრამ ერთი კაცმა თქოს—ამ ყარაბაღელმა რა სუნის ყვავილი იშოვნა!? შეწყვიტა იმისი სიტყვა ხარაზ დარჩოს ცოლმა ბარბარემ.

— ნუ, ბარბარე! მაგას რათ ამბობ? ცოდო არ არის? ნატო ალალ ძუძუს ნაწოვნია და ტურფა ქალია, უპასუხა დაბლიანთ მაკამ.

— კარგი ალალ ძუძუს ნაწოვნი გიპოვნიათ!?... მე კარგათ ვიცი ყველა მაგისი საქმეები მეწვრიმანე ზიგოლასთან! პირის პრანჭვით წამოიძახა ბარბარემ.

— ეჰ! მაგას რათ ბძანებთ? გაერია მათში ჰაზაზ წყალობას ცოლი—სალომე: ეხლანდელ დროში ვინ უყურებს ქალი კარგ და ალალ ძუძუ ნაწოვნია, თუ არა? ამ დროში ქალის სიყვარულიც არაფერია! არც იმისი ჭკვა და არც იმისი სწავლა: თუ ფული ბლომათა აქვს, სიძე იმისთვის მზათ არის, თუნდაც რომ ის ქალი ბრმა იყოს, თუნდა ქაჩალიც და თუნდა უნამუსოც, სულ ერთია.

სალომეს სიტყვები დედა-კაცებმა დიდის თანაგრძნობით მიიღეს და ერთპირათ წამოიძახეს:

— ღმერთმანც დასწყევლოს ასეთი ადათი და დააქციოს იმის მამგონის ოჯახი!

კაცებს სულ სხვა საგნებზედ ჰქონდათ მასლაათი, ისინი ლაპარაკობდნენ დღიურ პურისა და სხვა ხორაგის სიძვირეზედ.

— ესენი სულ ხალხის ცოდვისა-

*) იხ. „დროება“ № 176.

ბიათ, გაცეცხლებულა და ხანჯლით გაუსწორებია ანგარიში.

ცოლ-ქმარი მაშინვე დაიხოცნენ და შვილი ამათი იქნება გადაურჩეს მძიმე ჭრილობას. გუშინ გამომძიებელი წავიდა ზღუდერს და დაწვრილებით ცნობას, თუ საჭირო იქნება, შემდეგ გაცნობებთ.

ამათთანა ბოროტ პირებს რომ სოფელი ნებას აძლევს ვაჭრობისას და ფეხ-ქვეშ ეთელება, რასაკვირველია, კარგს არას უნდა მოელოდეს. ამბობენ, ამ ბიჭის „ხაზეინიც“ ცუდათ ექცევა აქაურებსაო, და წინათვე თქმა სჯობს, საზოგადოთ გაფრთხილება საჭიროა ამ გვარ მოვაჭრეებთან, რომელნიც გროშისთვის სულს გასწირავენ და ადამიანს ქათამივით არა ზოგვენ. გამოძიება, რასაკვირველია, დამნაშავეთ იცნობს მკვლელს, მკვლელს სამი კაცისას, მთელი ოჯახისას და სასამართლო მიაყენებს უსასტიკურ სასჯელს; თავდებობით და ქრთამებით დროებით განთავისუფლება ძალიან მავნებელია ამ გვარ შემთხვევებში.

გორში ქალაქის თავის ამორჩევა გათავდა და ისევ ის თავი შერჩათ გორელებს, რომელიც ებათ, ჰქონდათ, ჰყავდათ. მოსალოდნელიც ასე იყო: ამაზედ უკეთესი სათავე აქ არავინ იპოება, გარდა ორისა, რომელთაგან ერთი ისეთ სამსახურშია, რომ მაინც არ ისურვებდა თავის თანამდებობის დათმობას და მეორეს ესენი, სანამ გორელები ერქმევათ, არ ამოირჩევენ.

მაზრაშიაც ახალი მოხელეების არჩევანი დაიწყეს და მალე ნიშნები ახალი პირების ჩოხებზედ დაჰკრიდება. იქნება მეორეთ მოსვლის შიშით ეს ახალი მოხელენი სწორე გზას დაადგნენ და ხალხს სწორეთ უწინამძღვრონ?

პურის მოსავალი ჩინებული იყო აქეთკენ, ღვინისაც კარგი იმედია, თუმცა კი, ამბობენ, აქა-იქა ცოტა-ცოტა ნაცარი შეუყრია ყურძნისთვის. მხოლოთ უწვიმობამ მეტად შეაწუხა ხალხი და სიმინდებს წყალი მეტად უჭირს; საშინელი სიცხეებია.

ჭო, დიახ, კი.

**ბათუმი**, 19 აგვისტოს. ქობულეთში. მდ. კინტრიშის პირათ, ადგილობრივ მცხოვრებლებმა რაღაცასთვის მიწის თხრა დაიწყეს და გამოაჩინეს ბევრი რამ საინტერესო კავკასიის არხეოლოგიისათვის. რადგანაც მცოდნე პირები არ დასწრებია იმ ადგილის გათხრაზე, ამისათვის უეჭველია, რომ ბევრი რამ საინტერესო გაფუჭდება, დაიკარგება უცოდინარობის წყალობით. ამისათვის მე საჭიროთ ვრაცხ ვაცნობო ამ მოკლე შენიშნვით მკითხველებს და ვისიც ჯერ არს ეს ამბავი და მივაქციო მათი ყურადღება ამ საგანზე.

დამსწრეს სიტყვებით გამოთხრილ ადგილში გამოჩენილა ადამიანის ძვლები და მრავალი სხვა-და-სხვა გვარი იარაღი, ავეჯულება, ჭურჭლები; ზოგი ამათგანი წაუღიათ იქაურ მცხოვრებლებს და ბევრიც კიდევ მოიპოვება, რადგანაც გამოთხრილი ჯერჯერობით პატარა არის. მე შემთხვევით ჩამივარდა ხელში რაოდენიმე იქ ნაპოვნი ნივთი და მსურს მოკლეთ აღვწერო იგინი; მათ შორის არიან:

ორი ნაჯახის მგზავსი ნივთები, ერთი მოდიდო და მეორე ნაკლები; ორივე მწვანე, ბზიალა ფერის. მათი სიმძიმე და ხმა გვიმტკიცებს, რომ მეტალიდგან არიან გაკეთებულნი; სიმწვანე კარგათ სკლათ აზის ნაჯახებს და უნდა იყოს ის, რაც ზოგ მეტალს ედება ნოტიო ადგილას; ორივე კარგი წმინდა ხელობისაა. თითო ნაჯახის ნაწილებს შუა დიდი სიმმეტრია ეტყობა; პირი კარგათ მოლესილი აქვსთ.

ერთი გატეხილი დანის მსგავსი იარაღი იმავე ნივთიერებისგან გაკეთებული, იმავე ფერისა.

ორი ანკესის მგზავსი იარაღი იმავე ნივთისა და ფერისა: ერთი მათგანი მომახოა, ორივე კარგი ხელობისა და გვერდის კანის-ფრათ დახატული არიან; ერთს მათგანს ერთი თავი პრტყელი აქვს და ამ თავის ცალ გვერდზე მშვენიერად არის გამოხატული თევზი; მეორე თავი კი, თუმცა წამტვრეულია, მაგრამ ეტყობა, რომ მწვეტი ყოფილა.

კიდევ არის რაღაც პირუტყვის გამოხატულება სპილენძისა; ერთობ მოკლე ფეხებზედ დგას; თავი სამკუთხს ჩამოგავს და სახეზე არ ეტყობა თვალ-პირი;

ერთი პატარა ქინქილა (ლიტრა) შუაზე გარდამტვრეული, ერთი ქინქილის ძირი და სხვა-და სხვა ფერადფერადი ძივები: წყლის-ფერი, წითელყვითელი და მწვანე.

როგორც მითხრა ამ ნივთების გარდმომცემელმა, ბევრი სხვა-და-სხვა ნივთები წაუღიათ თავიანთთვის ახლო მცხოვრებლებს.

ზემო აღწერილ ამბავმა ჯერ-ჯერობით არავისი ყურადღება არ მიიზიდა, გარდა. ქობულეთლებისა ბათუმის გუბერნატორი მოგზაურობს ამ ჟამად თავის სამმართველოში, და ადგილობრივ ქობულეთის ადმინისტრაციას და მის წარმომადგენელს ბ. ბაქბეუქ-მელიქოვს რა უნდა ეკითხებოდეს ისტორიისა და არხეოლოგიისა, როდესაც თავის პირ-და-პირ მოვალეობას ვერ ასრულებს ღირსეულად; ოქროსა და ვერცხლის მადნები რომ გამოჩენილიყო, მაშინ კი არ დააკლებდა გულმოდგინებას.

ა. ნანეიშვილი.

*P. S.* ერთი შენიშვნა კიდევ: ერთს ბათუმის მცხოვრებს უპოვნია აჭარაში ნაეკლესიარ ადგილზე ერთი ბეჭედის მგზავსი ნივთი, რომელსაც დანის პირი ვერ ეკიდება; ზედ გამოხატულია კაცი, რომელსაც თითო ხელში თითო კვერთხი უჭირავს; კვერთხების თავებზე დაბჯენილია რაღაცა ფრინველის მგზავსი; კვერთხების მახლობლათ სხვა-და-სხვა ფიგურებია გამოხატული.

ა. ნ.

ბათუმი 19-ს აგვისტოს.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** კენჭის-ყრის მეორე დღეს 10 (22) აგვისტოს ყველა მინისტრებს ჰქონიათ კრება და მოლაპარაკება ამორჩევების შედეგის თაობაზედ.

ჟულ ფერრის ახლანდელ სამინისტროს იმედი აქვს, რომ, თუ ყველა „ზომიერი რესპუბლიკელი დეპუტატები“ შეერთდნენ და მიუდგნენ მთავრობას პალატაში, ახლანდელი სამინისტრო დიდ ხანს გასძლებს.

დაახლოებულ ანგარიშით პარტიები ასე იქნება განაწილებული მომავალს ნაციონალურს კრებაში: ზომიერი ანუ გამბეტტას მომხრე რესპუბლიკური პარტია შეადგენს 330-340 წევრს; 35 დეპუტატი ეკუთვნის უკიდურესს ანუ ესრედ წოდებულ „შეურიგებელ“ რესპუბლიკურ-სოციალურ პარტიას და ამას გარდა 150 დეპუტატი ეკუთვნიან დამოუკიდებელ რესპობლიკურ პარტიასა და მონარხიელებს ბონაპარტისტებით თურთ.

მომეტებული ნაწილი რესპუბლიკურ გაზეთებისა ამტკიცებს, რომ ამ უკანასკნელ ამორჩევების შემდეგ, გამბეტტამ ძალა-უნებურად უნდა იკისროს ჰმართებლობის უღელში გაბმა, იმან უნდა შეადგინოს ახლა სამინისტროვო, რადგან მხოლოთ იმას შეუძლიან უმრავლესობა მიიმხროს მომავალს ნაციონალურ კრებაშიო.

---

გან წარმოსდგება, ამბობდა ტერტერა: როდესაც ადამიანის ცოდვები მატულობენ, მაშინ ღმერთი მათ აგონებს სხვა-და-სხვა განსაცდელებით და სასჯელით. გადარჯულებულია ჩვენი ხალხი! აღარც წირვა ესმით, აღარც ლოცვა, აღარც მარხვა, აღარც წმინდანები და ერთის სიტყვით რაღა, ყველაფერი დავიწყებული აქვსთ და ასრე ეშმაკის გზაზედ მიდიან...

მღვდლის სიტყვებმა შეანძრიეს გულები ზოგიერთ ღვთის მოყვარე კაცებისა, რომლებიც პირჯვრის წერით ბუტბუტებდნენ:

— მელა, ასტუწო! მელა ირ სურბ ზორუთინ!

— მაგრამ როდესაც ხალხი ამ ბოროტ გზას თავს დაანებებს, განაგრძო ტერტერამ, ქრისტეს გზაზედ წავლენ, სალოცავათ ივლიან, გლახაკებს მოწყალებას მისცემენ, ტერტერას თავის პატივს სცემენ, მაშინ უფალიც იმათ კეთილის თვალით შეჰხედავს და პურსა და ღვინოს გაუმრავლებს!

— თუ ქრისტე გიყვარს, ტერტერჯან, ეს ქადაგება დარჩეს! წამოიძახა ერთმა წითელ გამობერილ ლოყებიანმა სირაჯმა კონამ: შე დალოცვილო, აქ ქორწილია, საყდარი ხომ არ არის? რა სახარების დრო გიპოვნია? დაგვაცალე პატა ღვინო დავლიოთ, ქეიფი გავწიოთ, რომ აგები გული გაგვეშალოს!

— მაიტა პირი. ერთი პროშტი გიყო, კონაჯან! უთხრა იმას მეთევზე მიხამ: რა ჩვენი ჭკვის საქმეა ღრმა წიგნებიდგან ლაპარაკი!? ჩვენი საქმე ის არის, რომ დავლიოთ, ქეიფი გავწიოთ და ღმერთი ვახსენოთ!

— ბარაქალდი, ბარაქალდი, მიხაკჯან, შენი სულის ჭირიმე! მოსძახეს იმას ერთხმად. ღვთის წინაშე, კარგი კანონიერი სიტყვა სთქვი.

— ქუ კენაც! შენი სადღეგრძელო იყოს!

ამ დროს ბრმა აშუღმა ბეჟანამ ჭიანურის სიმებზედ შემოსძახა საიათნოვას ბაითი:

„ქვეყანაზედ არ ვიდარდებ,
„მიდრე შენ სალი ხარ ჩემთვის“.

— ახ! რომ ვიცოდე ღვინო ვინ მოიგონა, მგრძნობიარე ცქერით თავის ღვინოზედ წარმოსთქვა ერთმა მსმელთაგანმა: ყოველ წელს სამლოთოს დაუკლავდი!

— განა ესეც არ იცი, უსტა პეტრე? მიუგო იმას ტერტერამ.

— მე საიდგან მეცოდინება, შენი სულის ჭირიმე, ტერტერჯან? სწავლის ავიც და კარგიც სულ თქვენ იცით, ღვთის საქმეები თქვენ ხელშია; ჩვენ რა გვისწავლია, რა გვეცოდინება?

— ღვინო მამათ-მთავარ ნოეს გამოუგონია! სიბრძნით წარმოსთქვა ტერტერამ.

— აი ნოეს სულის ჭირიმე! მაღალ ხმით დასძახა ერთმა ფიცხმა ახალ-გაზდამ, რომელიც თან თავის სტაქანს ხელში მაღლა სწევდა: ესეც ნოი კენაც! (ნოის სადღეგრძელო). ის რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ამ ბადიებს საიდგან დავლევდით?

ყველამ ერთობ ხმა მისცეს ჭაბუკს და თან თითო სტაქანი ნოეს სადღეგრძელოც მიირთვეს. იმათ ასე ეგონათ, რომ ნოე ჯერ კიდევ ცოცხალიაო.

ამ საზოგადო სიმხიარულეში ტერტერამ შეამჩნივა, რომ მარტო უსტა ბრიქულა, პატარძლის მამა, იყო როგორღაც ნაღვლიანათ; ის ხან შედიოდა სახლში, ხან გამოდიოდა, იტყოდი იმას რაღაც დარდი აწუხებსო.

— რას დაფიქრებულხარ, უსტა ბრიქულ? უთხრა იმას ტერტერამ: შე დალოცვილო, ეს ლხინი სულ შენია, და შენ-კი დარდობ!

უსტა ბრიქულამ არა პასუხი არ მისცა მხოლოთ თავი გაიქნია და მოშორდა მოქეიფეებს.

## VIII

შუა ღამე იყო. მხოლოთ ასასების საზიზღარი ხმაურობა, მატანტალა ძაღლების ჩვეულებრივი ღრენა და ყეფა, დაგვიანებულ ფაიტონების რახარუხი — არღვევდნენ ქალაქის მყუდროებას.

— ქველა გამბეტას მომხრე გაზეთები ურჩევენ მას, რომ სამინისტროს შედგენას შეუდგეს. ერთ ამ გაზეთთაგანში გამოვიდა სტატია, რომელმაც აღძრა ბევრი ლაპარაკი; სტატია ამბობს, რომ გამბეტტა არ არის უარზედ სამინისტროში შავიდეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ თითონ რესპუბლიკის პრეზიდენტმა გრევიმ მიიწვიოს ის და სრული თავისუფლება მიანიჭოს მის მოქმედებას. პარიჟში ასახელებენ ახალ სამინისტროს წევრებსა: გამბეტტა-მინისტრი-პრეზიდენტი უპორტფელოთ, ფერრი-მინისტრი სახალხო განათლებისა, ფრეისინე-სამხედრო მინისტრი, ლეონ-სე ფინანსის.

— ბელველში ორჯერ გამარჯვებისათვის პრეზიდენტმა გრევიმ გაუგზავნა გამბეტტას მილოცვითი დეპეშა. პარიჟის გაზეთები ამ მილოცვაში დაცინვით კილოს ამჩნევენ. გრევის კი, რომელსაც ყოველთვის მოულოცავს ამ გვარი გამარჯვება გამბეტასათვის, ეხლაც არ შეეძლო არ მიელოცა.

— ბელვილის ამორჩევების თაობაზედ ერთ გაზეთის თანამშრომელს შემდეგი სიტყვები უთხრა გამბეტამ: —„რათ მეუბნებიან მე ხალხმს მადლობას. სახელმწიფო კაცი ამას არ უნდა უყურებდეს. თავის თავის გამოჩენაზედ უფრო დიდი საქმეები აწევს მას. ის უნდა ემსახურებოდეს იმ საქმეს, რომლისათვისაც მოუკიდნია ხელი; უნდა სცდილობდეს, რომ გაიყვანოს თავის აზრები და პრინციპები. ეხლა გაიძახიან, რომ მე სულ რამდენიმე ხმის უმეტესობით ამომირჩიეს: —მაგრამ რესპუბლიკაც ხომ ერთი ხმის უმეტესობით იყო ამორჩეული და გაიმარჯვა კიდეც.“

— ინგლისურ გაზეთში „*Daily News*“-ში იწერებიან, რომ გამბეტას მიუწერიაო ერთ იტალიელ წარჩინებულ პირისათვის წერილი, რომელშიაც ის ჰკიცხავს იტალიის კავშირს ავსტრია და გერმანიასთან.

— ამბობენ, ახლანდელ სამინისტროს თავსმჯდომარემ ჟულ ფერრიმ გამოაცხადაო, რომ ახალი დეპუტატები ნოემბრის დამდეგისათვის იქნებიან მოწვეულნი, რადგან ძველს პალატას 28 ოქტომბრამდინ აქვს კიდევ ვადაო.—ყველანი დარწმუნებული არიან, რომ, თუ ჟულ გრევიმ (რესპუბლიკის პრეზიდენტმა) მოიწვია გამბეტტა ახალ სამინისტროს შესადგენათ, გამბეტტა უარს არ იტყვის, რადგან იმედი აქვს, რომ ახალ პალატის უმრავლესობა იმის მომხრედ იქნება.

—

**ამერიკის რესპუბლიკა.** პრეზიდენტის გარფილდის მდგომარეობაზე თანდა-თან ცუდი ამბები მოდის ვაშინგტონიდამ: ძლივს ხორცის წვენს ყლაპავს ახლაო, ძალიან სუსტად არის და სიცხემაც მოუმატაო. საზოგადოთ ექიმებს თითქმის იმედი დაეკარგათ პრეზიდენტის მორჩენისა და ამ გარემოებით მთელი ამერიკის ხალხი ძალიან შეწუხებულიაო.

## არხეოლოგიური შენიშვნა

ამ ზაფხულში მე მომიხდა ქართლის ზოგიერთ სოფლებში ყოფნა და ნახვა ზოგიერთ ძველ ეკლესიებისა და ნანგრევებისა, რომელთაც ჩვენის არხეოლოგიისათვის, უეჭველია, მნიშვნელობა აქვთ. ამ ჯერობით მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა სოფ. ვაყის ეკლესიაში ნახულს ძველს მიტრაზედ.

სოფ. ვაყა არის გომის სტანციიდამ სულ ხუთ ვერსზედ. ამ სოფელშია ორი ეკლესია: ერთი ქართველებისა მღვთის-მშობლისა, და მეორეც სომხებისა ღედა-ღვთისა. ეს უკანასკნელი ეკლესია ძალიან შესანიშნავია თავისის მიშენებაებით და მოწყობილობით, მაგრამ ახლა რაკი სომხებს დარჩენიათ (წინათ ქართველებისა ყოფილა), ისე ყურადღებას აღარ აქცევენ სხვა შენობებს, ეკლესიის გარდა, და სულ ფრინველთ განავალითაა სავსე. ამ ციხეში არის სამი სამწირველო: როგორც მითხრეს, კათოლიკებსაც ჰყოლიათ აქ ერთ დროს მორწმუნეები და ჰქონიათ ღვთის მსახურება.

ეკლესიაში არის ერთი გვირგვინი, რომელიც შესანიშნავია როგორც ხელოვნებით, ეგრეთვე სიძველით, როგორცა სჩანს ზედ-წარწერით. ეს მიტრა იმრგვლივ ცამეტი გოჯის სიგძეა. გარეშემო აქვს ოც-და-თექვსმეტი თეთრი ქვა და ცხრამეტი მარჯანი. პირველს ადგილს არის მთელი სურათი იესო ქრისტესი მჯდამარესი, მიტრით და სულის-წმიდით თავზედ, სახარებით მარცხენა ხელში და ჯვარის სახით მარჯვენა ხელით. მარჯვნივ უდგა პეტრე მოციქული მთელის ტანით გამოყვანილი როგორათაც დანარჩენი მოციქულები, მარცხნივ პავლე, პავლის შემდეგ მათე, ლუკა (რომელსაც თავზედ ადგა ჯვარი წრით გარს და ხუთის ქვით), სიმონ, ბართლომე, ფილიპპე, თომა (იმ გვარივე ჯვრითა), იაკობ, ანდრია, მარკოზ (ჯვრითა და მწვანე და ლალის ფერი ქვებით, რომლებსაც ქვემოთ ძირზედ რაღაც აწერიათ, მაგრამ ვერ ამოვიკითხეთ), იოანნე და პეტრე, ასე რომ ეს წესი არ არის მართლმადიდებლობითი. ეს მოციქულები ერთი-ერთმანეთზედ პატარა საყუნწეებით არიან მიერთებულნი.

ზემოდამ დახატულია ხუთი საუფლო დღესასწაული, რომლებსაც თავზედ აწერიათ: ჩყით: აღდგომა.·. ხარება.·. შობა.·. ნათლისღება.·. ფერისცვალება.·. შუაზედ გუმბათიერითა დგას პატარა სამრეკლოსავით და ზედ ასვია ჯვარცმა...

მოციქულების უკან, [illegible] მისდევს თითის საპროტყეთ [illegible], რომელზედაც აი რა ზედ-წარწერა ამოვიკითხე:

„ქ· ეჵა.·. შენ.·. შემწედ.·. და.·. მფარველად.·. მარადის.·. საგულვებელო.·. სასოვო.·. და.·. შესავედრებელო.·. ყოველთა.·. ქრისტიანეთაო.·. დედაო.·. ღვთისაო.·. მე.·. ფრიად.·. ცოდვილმან.·. მემცხედრემ.·. მდივანის.·. ავთანდილისამან.·. ხამფერვან.·. მოვაჭედინე.·. შეგამკე.·. და.·. შემოგწირე.·. გვირგვინი.·. ესე.·. ტაძრისა.·. შენისათვის.·. ვქმენ.·. დეზულ.·. ვაყას.·. სასოფლოსა.·. ჩვენსა.·. სულთა.·. ჩვენთა.·. და.·. ასულისა.·. ჩვენისა.·. მარიამისა.·. სალხინებლად.·. მწე.·. გვექმენ.·. მისა.·. შენისა.·. წინაშე.·. რათა.·. არა.·. უგულებელს.·. ჰყო.·. მცირე.·. ნაჭუშაკევი.·. სავარველისა.·. მისასა.·. შიგან... შევრდომილ.·. ამყოფოს.·. მე.·. ცოდვილნი.·. ჩემნი.·. მდივან.·. ზეგთა.·. ზეგ... ფარან.·. ესვა.·. და.·. ზეფან.·. ქორ. იეზ.·. მაისის ა.“

ეს წარწერა პირის-პირ გადმოვსწერე მღ. ივანე მახარობლიძის თანადასწრებითა და შემწეობითა.

კარგი იქნებოდა, რომ ეს ზემოხსენებული მიტრა, მღვდ. ივანე მახარობლიძის საშუალებით, გამოეთხოვათ და გამოეგზავნად დროებით, საჩვენებლად მომავალ არხეოლოგიურის კრებისათვის.

კ—ი.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს.** გარალევიჩი და ლისიცვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცვი—

---

ბაზრის ერთ დუქნის დარაბებიდგან გამობჟუტავდა ბუნდი სინათლე. იქ იჯდა ერთი ახალ-გაზდა ვაჟი.

— ალავ! ეს რისგან არის, რომ ამალამ ასე ფხიზლათ, დარჩომილხარ და არ დაგიძინია? ჰკითხა კრო ასასმა, რომელმაც დარაბებიდგან თავი შეჰყო დუქანში.

— არ მეძინება, ქარო! უპასუხა ყმაწვილმა კაცმა.

ეს ყმაწვილი კაცი იყო ჩვენი ნატოს საყვარელი, ზიგოლა. ყარაბაღელ სასიძოს ამბავი და ქალის მშობლების სურვილი რომ გაიგო ზიგოლამ, ძილი აღარ მოსდიოდა, ჰხედავდა, რომ თავის საყვარელ ნატოს ართმევდნენ. თუმცა იმას თავის დედმამის დიდი ხათრი და შიში ჰქონდა, თუმცა მორცხვი ბიჭი იყო, მაგრამ მაინც გაჰბედა პირ-და-პირ აღიარება მათთან შუშანას ქალის სიყვარულისა. მაგრამ მშობლებმა იმას არამც თუ მარტო სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს, არამედ კიდეც დაემუქრნენ, რომ თუ ის ამ სულელობას არ მიატოვებს, მამის მემკვიდრობიდგანაც ხელ-აღებულად ჩაითვალოს თავი.

ზიგოლამ თავი დაანება თავის დედმამის სახლს და ღამეს დუქანში ატარებდა.

ჰასასმა რომ შეამჩნია იმისი დაღონება, ჩამოჯდა დუქნის კარებზედ და დაუწყო იმას მასლაათი.

— უთუოთ ერთა რამ დარდი გაქვს? ჰკითხა ჰასასმა.

— მაქვს, ქარო, დარდი მაქვს! უპასუხა ზიგოლამ და მერე მოუყვა და მთლად დაწვრილებით უანბო იმას ნატოს სიყვარული.

— ეჰ, ალა! როცა შენსავით ჯეჰილი ვიყავი; მეც ღამე ძილი არა მქონდა, უთხრა ჰასასმა: ჩვენ სოფელში იყო ერთი ქალი, რომელიც იმისთანა ლამაზი იყო, როგორც მზეელი და ჯეირანი. ის მე მიყვარდა, მე იმას უყვარდი. ერთხელ ჩვენი სოფლის მელიქის ღლანცმა თვალი მოჰკრა იმ ქალს და მაშინვე იმისი სიყვარული ჩეუვარდა გულში. ის ქალი მე-კი აღარ მომცეს, იმ მელიქის ღლანცს მიათხოვეს. მაგრამ ერთი თვე არ გავიდა, ის ქალი დარდისაგან მოკვდა. მეც იმის შემდეგ ავიღე და იმ ქვეყანას თავი დავანებე, რომ იმ ქალის საფლავი თვალით არ დამენახა.

ქრო ასასმა ეს სიტყვები იმისთანა გულის ტკივილით უამბო, რომ თითონაც ველარ შესძლო ცრემლების შეჩერება და უკანასკნელ სიტყვების წამოთქმის დროს მისი ხმა სრულებით ჩაწყდა.

ზიგოლაც გულის ტკივილით უყურებდა იმას და თანაუგრძნობდა. ბოლოს მიუბრუნდა ისქაროს და უთხრა:

— ასრეა, ქარო, მაგრამ უმჯობესია, კაცი თითონ მოკვდეს და ისკი არ ნახოს, რომ იმისი საყვარელი ქალი სხვის ხელში ვარდებოდეს. შენ კიდევ მაინც ბედნიერი ხარ, რომ შენი საყვარლის საფლავი ნახე.

ქარომ შეამჩნივა, რომ მის თანამესაუბრეს დარდი და ნაღველი ემატებოდა და ამის გამო უპასუხა:

— დღეს თქვენ უბანში ქორწილია. კარგი იქნება, რომ დუქანი დაკეტო და იქ წახვიდე, აგები გული გაგეხსნას.

— ქორწილი!? წამოიძახა ზიგოლამ, რომელსაც მაშინათვე საშინელმა ჟრიალმა გაუარა ტანში.

— დიახ, ალავ, ქორწილია: მე ამ საღამოს თქვენ უბანზედ გამოვიარე და დაფა-ზურნის ხმა გამოდიოდა შუშანას დის სოფიოს სახლიდგან.

ზიგოლა ჯერ სრულებით გაშეშდა, მერე საჩქაროდ წამოხტა, ჩაიცვა ტანთ-საცმელი, გამოვარდა გარეთ და ჰასასსა სთხოვა დუქანი დაეკეტნა.

(დასასრული შემდეგ №-ში)

შინაგან ავათმყოფობისა; კედლიში — სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; პაპავა და დანიელ-ბეგოვი — ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კედლიში — სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი — ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კედლიში — სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — სირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი — შინაგან ავათმყოფობისა; კედლიში — სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კედლიში — სიფილისტიკური და სირურგიული ავათმყოფობისა; ბასტუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღ. სისუსტის ავათმყოფობისა.

# განცხადებანი





მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და ყველასაგან ხმარებული **წამალი ნაოფლარისა**, რომელიც (ნაოფლარი) სიცხისაგან გაჩნდება ხოლმე, განსაკუთრებით ხშირთა ფეხის თითებს შუა,




## გალმანინი

**(Гальманинъ)**

ისყიდება აფთიაქებში და აფთიაკის წამლების მაღაზიაში ევროპის ყველა დიდ ქალაქებში. მთავარი დეპო ამ წამლისა არის ფარმაკიის მაგისტრის გ. კარპინსკის აფთიაკის ქ. ვარშავში, ელექტორალის ქუჩაზე **№ 35.** დიდი კარობკა გალმანინისა ვარშავში 50 კ. ღირს, პატარა — 30 კაპ. უნდა გაუფრთხილდეთ, რომ ყალბი გალმანინი არ შემოგატყუონ და ითხოვოთ რომ კარობკასთან იყოს: ახსნა როგორ უნდა იხმაროთ წამალი და მედალი პარიჟის მსოფლიო აგმოფენისა. (20—19) გ. კარპინსკი.

**მიწა** იყიდება იმ ალაგას, სადაც აპირებენ ხიდის აშენებას, 18 მ., 20 მ., 22 მ., და 24 მ. კვ. საჟ. მსურველმა იკითხოს ინგლისის მაღაზიაში. იქვე იყიდება ბაღი 1,300 კვ. საჟ., მიხაილოვის ქუჩაზე 17 მან. კვ. საჟ. (10—9)

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიჩიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამფ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავანას გიარები. (100—12)

ინგლისის მაღაზიაში

თმის ამყვანი



მაკ-მასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკვილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ (100—21)

**ჩაის მცოდნე**, პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა **ინგლისის მაღაზიაში** 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. ტფილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ. (100—26)

გამოცდილ მასწავლებელსა სურს მიიღოს თავის ოჯახში ორი ყმაწვილი წლოვანებით 8 12-დინ წმ. დავითის ქუჩა ნომერ 31 ზედა სართული, სამი საათიდგან შუა დღისა საღამომდინ. (3—3)

**ახლად მიღებულია**

ინგლისის მაღაზიაშია დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა. 30% უფრო უკეთესი ვიდრე სადმე სხვაგან. იქვე ისყიდება: პაროუსინა არშ. 40 კა. სტაქნები და ბაკლები 10 კაპ., პადნოსები 5 კაპ. მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (25—16)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პარუსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—7)

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალერეაში

*(Maison de confiance)*

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| საუკეთესო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—31)

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საგენტო პარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ჭაშრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ **ინგლისის მაღაზიაში.** მთელი კოსტიუმი 15 მ. ხველების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა. (100—95)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.
ხატაური — — — 10 კ.

**ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში** (ალექსანდროვის ბაღთან, რუსის საყდრის გვერდით) ისყიდება შემდეგი ახალი ქართული წიგნები:

ახალი გამოკვლევა ისტორიის წინა დროებზე და ქართველთ ტომის დასაწყისზე თხზ. დ. ბაქრაძისა ფასი 20 კ.

ლექსნი, თქმული ვ. ხ. ორბელიანისაგან, ფასი 15 კაპ.

დავითიანი, გურამიშვილის დავითისა, ფასი 1 მან.

პონტის მეფე მიდრატად დიდი დ. ბაქრაძისა, ფასი 10 კაპ.

სამშობლო, ანუ ლექსთა კრება მიხეილ აბულაძისა, ფასი 10 კაპ.

პოლემიკური საუბარი მღვდლის მაჰმადიანთ მოლასთან, თხზ. მღვდ. სიმეონ ბეგიევისა, ფასი 70 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Въ Тифлисъ, книжный магазинъ Захарія Чичинадзе.** (5—5)

ინგლისური ინგბერ შამპანიის ღვინო! ფასი უჭურჭლოთ 25 კაპ. (ჭურჭლით 40 კაპ.), დიდი ბოთლია, **ინგლისის მაღაზიაში.** (10—6)


**ამა წლის პირველ სეკტემბრიდგან**

გამოიცემის ქ. ქუთაისში

**თავ. დიმ. ელ. დადიანის რედაქტორობით**

ყოველ-კვირის საპოლიტიკო და სალიტერატურო ქართული გაზეთი სახელად

## „შ რ ო მ ა“

გაზეთის პროგრამმა:

I სტატიები თანა მედროვე კითხვებზედ. II ტელეგრამმები. III ადგილობრივი ამბები და შენიშვნები. IV ახალი სალიტერატურო, საზოგადოებრივი და საპოლიტიკო ცნობები. V ქრონიკა ადგილობრივის თვით-მმართველობისა. VI შინაგანი და გარეგანი წერილები. VII საპოლიტიკო მიმოხილვა გარეგანი და შინაგანი. VIII კრიტიკული მიმოხილვა თანამედროვე ლიტერატურაზედ. IX ფელტონი. მოთხრობები, სცენები, ლექსები და სხვა და სხვა შენიშნვები. X ისტორიული მიმოხილვა კავკასიის აქეთა მხარისა. XI სამსაჯულო ცნობები და შენიშნვები. XII ცნობათ-ფურცელი და განცხადებანი.—

გაზეთი გამოვა ოთხშაბათობით, საშუალის საგაზეთო ქაღალდის ფურცელზედ, ხანდის-ხან დამატებით.

გაზეთის გამოსაწერი ფასი სახლში მიტანით და სხვა ქალაქებში გაგზავნით: ერთის წლით — შვიდი მანეთი, ნახევარის წლით — ოთხი მანეთი, სამის თვით — ორი მანეთი და ხუთი შაური და ამა წლის პირველ სეკტემბრიდგან მომავლის 1882 წლის პირველ იანვრამდი — სამი მანეთი.

**ხელის მოწერა მიიღება:**

ქ. ქუთაისში: 1) გაზეთის რედაქციაში, ნემეცების ქუჩაზედ, კნეინა მაჭუტაძის სახლში, 2) პ. ზ. წულუკიძის სტამბაში, ტფილისის ქუჩაზედ, ერიქოვის სახლში და 3) ძმების ნიკოლაძეების მაღაზიაში, გიმნაზიისა და სათავადო ქუჩის კუთხეში.—

ქ. ტფილისში: ზ. შავერდოვის გაზეთთა სააგენტოში.

ამ ქალაქთ გარეშე მცხოვრებთა თავიანთის მოთხოვნილებით პირ-და-პირ რედაქციას უნდა მიმართონ.

გამომცემლები: თავ. დ. ე. დადიანი და დ. ა. ნაზაროვი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 Августа 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი